

თსუ პაატა გუბუშვილის
სახელობის ეკონომიკის
ინსტიტუტის

სამეცნიერო შრომების
კრებულის
XVIII

მთავარი რედაქტორი

თეა ლაზარაშვილი

სამეცნიერო-სარედაქციო კოლეგია

ვლ. პაპავა (აკადემიკოსი), გ. ბერუღავა, ნ.
ბიბილაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), ვ. ბურ-
დული, თ. გოგონია, ლ. დათუნაშვილი, გ. ერქომაიშ-
ვილი, ლ. თოთლაძე, ე. კაკულია, მ. კვარაცხელია, მ.
ხუსკივაძე, რ. ჯავახიშვილი

თსუ პაატა გუბუშვილის სახელობის ეკონომიკის
ინსტიტუტის გამომცემლობა
თბილისი 2026

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებულში ქვეყნდება ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელთა და საქართველოს მეცნიერ-ეკონომისტთა ნაშრომები, რომლებიც ეძღვნება თანამედროვე აქტუალურ ეკონომიკურ პრობლემებს.

კრებული განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის და დახმარებას გაუწევს არა მხოლოდ სპეციალისტებს, არამედ ეკონომიკის საკითხებით დაინტერესებულ ნებისმიერ პირს.

რედაქციის შეხედულება შესაძლოა არ ემთხვეოდეს ავტორის აზრს და იგი პასუხს არ აგებს ინფორმაციის სიზუსტეზე

© თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის
ინსტიტუტის გამომცემლობა
2026

სამეცნიერო ნაშრომები

ვლადიმერ პაპავა

ფირმის ეკონომიკური უსაფრთხოება და „ტექნოლოგიური მახის“ დაძლევის ძირითადი გზები

ანოტაცია. ნაშრომში გამოკვლეულია ფირმის ეკონომიკური უსაფრთხოების არსი, ძირითადი საფრთხეების სახეობები და მათთან დაკავშირებული რისკები. ნაჩვენებია, რომ ფირმის წინაშე მდგარი ეკონომიკური საფრთხეებიდან ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული არის „ტექნოლოგიურ მახეში“ მოხვედრა, როცა ფირმების მიერ ახალი ინოვაციური ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის მიუხედავად, ისინი არ რისკავენ და უპირატესობას მოძველებულ ტექნოლოგიების გამოყენებას ანიჭებენ. გაანალიზებულია „ტექნოლოგიურ მახეში“ ყოფნის ხელშემწყობი ძირითადი პირობები. დასაბუთებულია, რომ ფირმის „ტექნოლოგიურ მახეში“ ყოფნა არის რეტროეკონომიკის, როგორც ასეთის, ხელშემწყობი. ეს უკანასკნელი კი გლობალური პრობლემაა და არა მარტო განვითარებადი, არამედ განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვისაცაა დამახასიათებელი. ნაჩვენებია ის აუცილებელი პირობები, რომელთა გარეშეც შეუძლებელი იქნება „ტექნოლოგიური მახედან“ თავის დაძლევა, ანუ „ტექნოლოგიურ ნახტომის“ განხორციელება.

შესავალი

თანამედროვე მსოფლიოში, როცა კონფრონტაციული გლობალიზაციის პირობებში [Papava, 2022] სულ უფრო და უფრო მეტ დატვირთვას იძენს გაურკვევლობის ფაქტორი [Papava, Bedianashvili, 2024], ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემის კვლევა განსაკუთრებით პრიორიტეტული ხდება [Papava, 2024a].

შესასწავლი საკითხებიდან განსაკუთრებულ ინტერესს ეკონომიკის ტექნოლოგიური ჩამორჩენილობის პრობლემა იწვევს, რომელიც ყველაზე მწვავედ განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი. აქვე იმასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ ჩამორჩენილი ტექნოლოგიების გამოყენება არა მარტო ამ ქვეყნების პრობლემაა, ის განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნე-

ბისთვისაცაა დამახასიათებელი, რომელიც ყველაზე რელიეფურად ფინანსური კრიზისების დროს იჩენს თავს.

ეკონომიკის ტექნოლოგიური ჩამორჩენილობა უშუალოდაა კავშირში ეკონომიკურ ზრდასა და, კიდევ უფრო მეტად, ეკონომიკურ განვითარებასთან, რაც ამ ჩამორჩენილობის დაძლევის გზების შესწავლას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს.

ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემები საკმაოდ ფართო სპექტრის საკითხებს მოიცავს. ამ საკითხებს შორის გამოკვეთილი ადგილი ფორმის ეკონომიკურ უსაფრთხოებას უკავია (მაგალითად, [Britchenko, 2024]).

ფორმის დონეზე ეკონომიკურ საფრთხეთა შორის იკვეთება პრობლემა, რომელიც ტექნოლოგიურ ჩამორჩენილობასთანაა დაკავშირებული.

წინამდებარე ნაშრომის კვლევის მიზანია იმის შესწავლა, თუ რა განაპირობებს ფორმების ტექნოლოგიურ ჩამორჩენილობას და მისი დაძლევა როგორ არის შესაძლებელი.

ფორმის ეკონომიკური უსაფრთხოების შესახებ

ფორმის ეკონომიკური უსაფრთხოება მიღწევადია მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როცა ის დაცულია სხვადასხვა შიგა, თუ გარე საფრთხისგან. მისი ამოცანა არის კონკურენტუნარიანობის ამაღლების გზით ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება, ან უკიდურეს შემთხვევაში ფინანსური დანაკარგების თუ არა თავიდან აცილება, მაქსიმალური შემცირება მაინც.

ფორმის ეკონომიკური უსაფრთხოების უზურნველსაყოფად აუცილებელია იმ საფრთხის შემცველი შიგა და გარე ფაქტორების მაქსიმალურად გათვალისწინება და მათზე ადეკვატური ზემოქმედების განხორციელება. იმისათვის, რომ ეს იქნას მიღწეული საჭიროა ყველა პოტენციური საფრთხის მეტ-ნაკლები სიზუსტით იდენტიფიცირება, რაც შესაძლებელს გახდის შესაბამისი რისკების შემცირებისათვის საჭირო ღონისძიებების გატარებას. აქვე ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ საფრთხეები, თავის მხრივ, ასევე განიცდიან ცვლილებებს, რის გამოც აუცილებელია, რომ მათზე პრაქტიკულად მუდმივ რეჟიმში ხორციელდებოდეს მონიტორინგი.

აუცილებელია ერთმანეთისაგან გავარჩიოთ ფირმის შიგა და გარე საფრთხეები.

ფირმის შიგა ეკონომიკური საფრთხეები მოიცავენ მის ფუნქციონირებასთან და მისი თანამშრომლების საქმიანობასთან დაკავშირებულ ფაქტორებს. ეს საფრთხეები შესაძლებელია განპირობებული იყოს არა მარტო თანამშრომლების არასათანადო ქცევით, არამედ მენეჯმენტის მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებით, ან გადაწყვეტილების მიღების დროს დაშვებული შეცდომებით.

ფირმის გარე ეკონომიკური საფრთხეებს ისეთი ფაქტორები განაპირობებენ, რომლებზეც მას, როგორც წესი, უნარი არ შესწევს ქმედითი ზეგავლენა განახორციელოს. გარე საფრთხეები მოიცავს არაპროგნოზირებად საკანონმდებლო ცვლილებებს, მაკროეკონომიკურ არასტაბილურობას, გეოპოლიტიკურ დამაბულობას, სტიქიურ უბედურებებს, მიწოდების გლობალური ჯაჭვების წყვეტას, პოლიტიკურ და ეკონომიკურ კრიზისებს (მაგალითად, [AlertMedia, 2025]). განსაკუთრებულ საფრთხეს კი ქმნის იმ ქვეყნის ტერიტორიაზე საომარი მოქმედებების დაწყება, სადაც ეს ფირმა მდებარეობს. ცალკე უნდა აღინიშნოს კონკურენტების მხრიდან ისეთი არამართლზომიერი ქმედებები, რომლებიც მოცემული ფირმის ეკონომიკური სტაბილურობის შელახვას ისახავს მიზნად.

თუ ფირმის შიგა ეკონომიკურ საფრთხეებთან გამკლავება უმთავრესად ამ ფირმის პრერპატივია, გარე ეკონომიკურ საფრთხეებთან მიმართებაში აუცილებელია ფირმას ჰქონდეს მათ შესაძლო განვითარებასთან მეტ-ნეკლებად ოპერატიულ რეჟიმში ადაპტირების უნარი, რაც შეუძლებელი იქნება, თუ ფირმას წინასწარ არ ექნება შემუშავებული შესაძლო კრიზისულ სიტუაციებზე რეაგირების სცენარების სხვადასხვა ვარიანტები (მაგალითად, [Britchenko, 2024]).

ფირმის გარე ეკონომიკური საფრთხეების წარმოქმნასა და მათ დაძლევაში განსაკუთრებული როლი ენიჭება სახელმწიფოს. მის მიერ გატარებული მცდარი ეკონომიკური პოლიტიკა შესაძლოა გახდეს ფირმის გარე ეკონომიკური საფრთხეების ჩასახვისა და განვითარების საფუძველი. ამასთან ერთად, სახელმწიფოს მიერ გატარებული სწორი ეკონომიკური პოლიტიკა უმცირებს ფირმებს გარე ეკონომიკური საფრთხეების წარმოქმნის რისკებს, და თუ

ისინი მაინც წარმოიქმნა, სახელმწიფოს როლი ფირმების მიერ ამ საფრთხეების დაძლევაში არანაკლებ მნიშვნელოვანია.

ფირმებისათვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საფრთხეს ტექნოლოგიური ჩამორჩენილობა ქმნის, რაც, სამწუხაროდ, გლობალური პრობლემაა და რასაც, როგორც წესი, სამეცნიერო-ეკონომიკურ ლიტერატურაში ჯეროვანი ყურადღება ნაკლებად ექცევა.

რეტროეკონომიკის პრობლემა

როცა მოძველებული ტექნოლოგიების გამოყენება რეტროეკონომიკის კონტექსტში [Papava, 2016, 2017, 2024b, 2025; Папава, 2017] განიხილება, აქ არ იგულისხმება აბსოლუტურად მოძველებული ტექნოლოგიები, რომლებიც ნეკროეკონომიკისთვისაა დამახასიათებელი [Papava, 2002, 2005; Папава, 2001]. ამ ტექნოლოგიების გამოყენებით გარკვეული დროის განმავლობაში ჯერ კიდევ შესაძლებელია ცალკეული ბაზრებისთვის მეტ-ნაკლებად კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება. სხვა სიტყვებით, ნეკროეკონომიკის საფუძველია აბსოლუტურად, ხოლო რეტროეკონომიკის კი - შედარებით მოძველებული ტექნოლოგიები. ამასთან ერთად, ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ ორივეს - ნეკროეკონომიკასაც და რეტროეკონომიკასაც - სჭირდება სახელმწიფოს მხარდაჭერა, თუმცა ეს მხარდაჭერა განსხვავებული ხასიათისაა. კერძოდ, ნეკროეკონომიკა უშუალოდ სახელმწიფოს ხარჯზე (ანუ სახელმწიფოს სხრჯზე გაცემული დოტაციების გზით) არსებობს, მაშინ, როცა რეტროეკონომიკის არსებობა სახელმწიფოსაგან უმთავრესად მოითხოვს საგარეო ვაჭრობაში პროტექციონისტული პოლიტიკის გატარებას, რათა შესაძლებელი გახდეს საერთაშორისო კონკურენციისაგან ქვეყნის შიგა ბაზრის დაცვა.

რეტროეკონომიკის შექმნას შემდეგი ფაქტორები განაპირობებენ:

I. *ინტელექტუალური საკუთრების დაცვა*, როცა ახალი ტექნოლოგიური ცოდნის გავრცელება და, შესაბამისად, მასზე ხელმისაწვდომობა იზღუდება. იმ ფირმებისათვის, რომლებიც განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ფუნქციონირებენ ახალი ტექნოლოგიების ლეგალური გამოყენება მათი სიძვირის გამო პრაქტიკულად შეუძლებელია. ამიტომ ისინი უპირატესობას ანიჭებენ შედარებით მოძველებული ტექნოლოგიების გამოყენებას, ხოლო

უკეთეს შემთხვევაში, ცდილობენ მოახდინონ ახალი ტექნოლოგიების არასანქციონირებული კოპირება [Голиченко, 2012, с. 120];

II. *ეკონომიკის მონოპოლიზაცია*. კერძოდ, ეს ის შემთხვევაა, როცა მონოპოლიები ახალ ტექნოლოგიებზე პატენტებს არა მათი გამოყენებისთვის შეისყიდიან, არამედ იმ მიზნით, რომ ეს ტექნოლოგიები კონკურენტების ხელში არ აღმოჩნდეს, (მაგალითად, [Молдован, 2009, с. 33]). დროთა განმავლობაში, როგორც წესი, იქმნება კიდევ უფრო ახალი ტექნოლოგიები, რის გამოც ხსენებული ნაყიდი, მაგრამ გამოუყენებელი ტექნოლოგიები მორალურადაა გაცვეთილი, რაც იმას განაპირობებს, რომ მათი უკვე გამოყენება აზრს კარგავს. კვლევების თანახმად ამ პრაქტიკის გამოყენების სიხშირე მზარდია [Stiglitz, 2016];

III. *საერთაშორისო კონკურენციის ლიდერების ქცევა*, როცა, ხშირ შემთხვევაში ისინი საკუთარი კონკურენტული უპირატესობის შესანარჩუნებლად მოძველებულ და არა ბოლო თაობის ტექნოლოგიებს ყიდიან [Поптер, 1993, с. 590]. შედეგად, განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში არა ინოვაციური, არამედ იმიტაციური (ან კვაზინოვაციური) ტექნოლოგიების აკუმულირება ხდება (მაგალითად, [Polterovich, Tonis, 2010; Segerstrom, 1991]). ამგვარი მოქმედებით საერთაშორისო კონკურენციის ლიდერები თავიდან იშორებენ მოძველებულ უფრო მასალატევად, შრომატევად ან/და ეკოლოგიურად საშიშ წარმოებებს, ხოლო ამ გამოთავისუფლებულ ეკონომიკურ სივრცეში უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებაზე არიან ფოკუსირებულნი (Мэльянов, 2004);

IV. *განათლების არასაკმარისი დონე* იმის საკმაოდ ძლიერ ბარიერს ქმნის, როცა ადგილობრივი კადრების მიერ პრაქტიკულად შეუძლებელია თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება (Голиченко, 2012, с. 118);

V. *ზომბიეკონომიკა* ფინანსური კრიზისის შედეგად წარმოიქმნება და წარმოადგენს გადახდისუნარო ფირმებისა და მათთან დაკავშირებული ბანკების ერთობლიობას. ეს ზომბი-ფირმები ფუნქციონირებას სახელწიფოს მიერ გაცემული სამთავრობო გარანტიის საფუძველზე აღებული საბანკო კრედიტების ხარჯზე განაგრძობენ (მაგალითად, [Ahearne, Shinada, 2005; Hoshi, 2006; LeLaulu, 2009]). მთავრობის მხრიდან გარანტირებული მხარდაჭერის გამო ზომბი-ფირმები არ ცდილობენ ტექნოლოგიურად განაახ-

ლონ წარმოება, ისევე როგორც, არ ცვლიან მენეჯმენტს, რისი თვალსაჩინო გამოცდილებაც XX საუკუნის 90-ან წლებში იაპონიაში დაგროვდა (მაგალითად, [Ahearne, Shinada, 2005; Hoshi, 2006]). აქედან გამომდინარე, ზომბიეკონომიკა რეტროეკონომიკის შექმნის საკმაოდ ძლიერი ფაქტორია. ამასთან, ხაზგასასმელია, რომ 2008-2009 წლების გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა ზომბიეკონომიკის გლობალიზაცია გამოიწვია [Harman, 2010; Krugman, 2020; Onaran, 2012; Quiggin, 2010].

მოცემული ხუთი ფაქტორიდან, პირველი ოთხი რეტროეკონომიკის ჩამოყალიბებას უშუალოდ განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში განაპირობებს, მაშინ, როცა მეხუთე ფაქტორი გლობალური ხასიათისაა, და ის რეტროეკონომიკის არსებობის ნოყიერ ნიადაგს განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებშიც ქმნის.

საყურადღებოა, რომ რეტროეკონომიკის, როგორც ასეთის, დაძლევის ე.წ. „რევოლუციური“ გზა ახალი ტექნოლოგიების საზოგადოებრივ დოვლათად გარდაქმნას ეფუძნება [Sachs, 2017, p. 91], რაც, თავის მხრივ, ეკონომიკის მოწყობის თვისებრივად ახლებურ გააზრებას საჭიროებს [Baker, 2023; Stiglitz, 2023].

„ტექნოლოგიური მახე“ და „ტექნოლოგიური ნახტომი“

განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ეკონომიკური ზრდა, როგორც წესი, არსებული რეტროეკონომიკის საფუძველზე ხორციელდება, თუმცა ისინი განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებთან შედარებით, მწარმოებლურობის დაბალი დონის ხანგრძლივი ვადით შენარჩუნების საფრთხის წინაშე რჩებიან [Howitt, 2000].

სამწუხარო ფაქტია, რომ შედარებით მოძველებული უცხოური ტექნოლოგიების კოპირება, სხვა თანაბარ პირობებში, განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის იძულებითი ნაბიჯია. ეს კი ამ ქვეყნების ფირმების ტექნოლოგიურად სხვის კმაყოფაზე ყოფნის მახეში მოქცევას განაპირობებს [Дементьев, 2006].

„ტექნოლოგიური მახის“ ქვეშ იგულისხმება ფირმის ისეთი მდგომარეობა, როცა ის უპირატესობას ანიჭებს ძველ, შედარებით ჩამორჩენილ და, შესაბამისად, ნაკლებად ეფექტიან ტექნოლოგიებს, მიუხედავად იმისა, რომ ახალი, თანამედროვე ტექნოლოგიები

რეალურად ხელმისაწვდომია [Балацкий, 2003]. ეს მოვლენა, ანუ ფირმის „ტექნოლოგიურ მახეში“ მოხვედრა, იმით აიხსნება, რომ ფირმები უპირატესობას მოკლევადიანი ამოცანების გადაჭრას ანიჭებენ, ხოლო გრძელვადიან ამოცანებზე და მათ გადაჭრაზე კი ნაკლებად ფიქრობენ; მოკლევადიანი ინტერესების უპირატესობა კი, გრძელვადიანთან შედარებით, სხვა თანაბარ პირობებში, განპირობებულია პოლიტიკური, სამართლებრივი და მაკროეკონომიკური არასტაბილურობით [Балацкий, 2012, сс. 56-57].

გასათვალისწინებელია, რომ რეტროეკონომიკის არსებობისათვის აუცილებელია სახელმწიფომ საგარეო ვაჭრობაში პროტექციონისტული პოლიტიკა გამოიყენოს, რათა მოძველებული ტექნოლოგიით აღჭურვილმა ფირმებმა შეძლონ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებელ უცხოურ ფირმებს გაუწიონ კონკურენცია. რა თქმა უნდა, ეს ფაქტორიც ხელს უწყობს „ტექნოლოგიური მახის“ შექმნასა და შენარჩუნებას. კერძოდ, ამას ეკონომიკურ ცვლილებათა ევოლუციური თეორიის თანახმად [Nelson, Winter, 1982] ის „რუტინა“ განაპირობებს, რომელიც საერთაშორისო კონკურენციაში ჩართვასთან შედარებით უპირატესობას საგარეო ვაჭრობაში პროტექციონისტული ზომების განხორციელებას ანიჭებს. ყოველივე ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ „ტექნოლოგიური მახე“ და რეტროეკონომიკა ერთმანათთან უშუალოდაა დაკავშირებული. მართლაც, „ტექნოლოგიურ მახეში“ მყოფი ფირმა, თავისი არსით, რეტროფირმაა, თუმცა, იმავდროულად, რეტროფირმა თავად უწყობს ხელს მის „ტექნოლოგიური მახეში“ ყოფნის განახორციელებას.

„ტექნოლოგიური მახიდან“ თავის დაღწევას, ანუ „ტექნოლოგიური ნახტომის“ განხორციელებას, ის სახელმწიფოს როლზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული. კერძოდ, მან, სხვა მრავალ ფუნქციასთან ერთად, ასევე „მართვადი ტექნოლოგიური ცვლილება“ უნდა განახორციელოს [Sachs, 2017, p. 89]. ამ მიზნით, სახელმწიფომ, უწინარეს ყოვლისა, საზოგადოებაში ეკონომიკური ოპტიმიზმის განწყობა უნდა შექმნას [Балацкий, 2010], რამაც, სხვა თანაბარ პირობებში, ფირმებს უნდა მისცეს იმის სტიმული, რომ პოლიტიკური, სამართლებრივი, თუ მაკროეკონომიკური არასტაბილურობის მიუხედავად მათმა მენეჯმენტმა უპირატესობა გრძელ-

ვადიანი, და არა მოკლევადიანი ამოცანების გადაჭრას მიანიჭოს [Балацкий, 2012, сс. 56-57].

იმისათვის, რომ საზოგადოებაში მოხერხდეს ეკონომიკური პესიმიზმის (როცა ფირმა შესაძლო რისკების მინიმუმაციაზეა ორიენტირებული) ეკონომიკური ოპტიმიზმით (როცა ფირმა პოტენციური სარეგების მაქსიმუმაციას ანიჭებს უპირატესობას) ჩანაცვლება, აუცილებელია მოცემულ ქვეყანაში ეკონომიკის მაღალი ტემპებით ზრდა იქნას მიღწეული. ამ შემთხვევაში, ეს მაღალი ეკონომიკური ზრდა, სხვა თანაბარ პირობებში, თითოეულ ფირმას მისცემს იმის სტიმულს, რომ ზრდის მაღალ ტემპს თავადაც მიაღწიოს. ეს კი, უწინარეს ყოვლისა, ახალი, ინოვაციური ტექნოლოგიების საფუძველზე იქნება შესაძლებელი. მამასადამე, სახელმწიფომ, ერთი მხრივ, ხელი უნდა შეუწყოს რეტროეკონომიკის პოტენციური შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოყენებას, რამაც უნდა განაპირობოს მთლიანი ეკონომიკის მაღალი ტემპებით ზრდა, ხოლო, მეორე მხრივ, - პერსპექტიულ ფირმებს ახალი, ინოვაციური ტექნოლოგიების მოზიდვაში უნდა დაეხმაროს. ამ უკანასკნელის მისაღწევად აუცილებელია თანადაფინანსების გზით საბანკო პროცენტის დონის შემცირება, რის შედეგადაც პერსპექტიული ფირმებისთვის საკრედიტო რესურსზე ხელმისაწვდომობა გაიზრდება [Балацкий, 2012, с. 56]. საბანკო სესხის განაკვეთის შემცირებასთან ერთად მიზანშეწონილია საგადასახადო შეღავათების დაწესება იმ ფირმებისათვის, რომლებიც რეალურად იქნებიან ორიენტირებულნი უახლესი „ტექნოლოგიების გამოყენებაზე“.

აუცილებელია იმის აღნიშვნაც, რომ „ტექნოლოგიური ნახტომის“ განხარციელება, საბანკო პროცენტის დონის შემცირების და სადასახადო შეღავათების დაწესების გარდა სახელმწიფოს მხრიდან გასატარებელ სხვა ღონისძიებებსაც საჭიროებს.

თუ კი გავითვალისწინებთ იმას, რომ, განსაკუთრებით, განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, რეტროეკონომიკის შენარჩუნების უძლიერესი ფაქტორი ინტელექტუალური საკუთრების დაცვაა, სწორედ ამ ქვეყნების სახელმწიფოთათვის განსაკუთრებული გამოწვევაა უახლესი, ინოვაციური ტექნოლოგიების პატენტების შემენა და მათი პერსპექტიული ფირმებისათვის ფასდაკლებით მიყიდვა.

უახლესი, ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენება, კი მაღალკვალიფიციური კადრების გარეშე შეუძლებელია. მაშასადამე, მათი მომზადება უშუალოდ სახელმწიფოს „ტვირთია“. სხვა სიტყვებით, სახელმწიფოს წინაშე დგება უდიდესი მნიშვნელობის ამოცანის გადაჭრის აუცილებლობა, რაც განათლების და მეცნიერების სისტემის შესაბამის რეფორმირებასა და სათანადო ფინანსურ მხარდაჭერასთანაა დაკავშირებული.

დასკვნა

ფირმის ეკონომიკური საფრთხეები არის როგორც შიგა, ის გარე ფაქტორებით გამოწვეული. პირველ მათგანთან გამკლავება უმთავრესად თავად ფირმის პრეროგატივაა, მაშინ, როცა გარე ფაქტორებით გამოწვეული საფრთხეების დასაძლევად მარტო ფირმის ძალისხმევა, როგორც წესი, არ არის საკმარისი და ამისთვის საჭიროა სახელმწიფოს აქტიური მოქმედება.

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკისთვის ერთ-ერთი უმწვავესი საფრთხე ფირმის „ტექნოლოგიურ მახეში“ მოხვედრაა, როცა ისინი რისკის გაწევას ერიდებიან და ახალი, ინოვაციური ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის მიუხედავად მოძველებული ტექნოლოგიების გამოყენებას ამჯობინებენ.

„ტექნოლოგიურ მახეში“ ყოფნა რეტროეკონომიკის შექმნის საფუძველია. თავის მხრივ, „ტექნოლოგიურ მახეში“ სწორედ რეტროეკონომიკა ხვდება.

„ტექნოლოგიური მახის“ მდგრადობას პოლიტიკური, სამართლებრივი და მაკროეკონომიკური არასტაბილურობა განაპირობებს.

„ტექნოლოგიური მახის“ დასაძლევად, ანუ „ტექნოლოგიური ნახტომის“ განსახორციელებლად დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფოს, მის როლს, რომლის უმთავრესი მიზანია საზოგადოებაში ეკონომიკური ოპტიმიზმის დამკვიდრება, რაც მთლიანი ეკონომიკის მაღალი ეკონომიკური ზრდით მიიღწევა.

„ტექნოლოგიური ნახტომის“ განხორციელებაში არანაკლებ მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან ფინანსური ბერკეტების გამოყენება პერსპექტიული ფირმებისთვის თანამედროვე, ინოვაციური ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის ზრდის მიზნით. იმავდროულად, სახელმწიფოს უშუალო „ტვირთია“ ისეთი კად-

რების მომზადება, რომლებსაც ხელეწიფებათ ამ ტექნოლოგიების გამოყენება. ეს კი, თავის მხრივ საჭიროებს სახელმწიფოს გააქტიურებას განათლებისა და მეცნიერების სისტემის რეფორმისა და სათანადო ფინანსური მხარდაჭერის მიმართულებით.

გამოყენებული ლიტერატურა

Ahearne A. G., Shinada N., 2005. Zombie Firms and Economic Stagnation in Japan. *International Economics and Economic Policy*, Vol. 2, No. 4.

AlertMedia, 2025. “Economic Risk Examples and Preparedness Strategies for 2026.” *AlertMedia*, November 11, <<https://www.alertmedia.com/blog/economic-risk-examples/>>.

Baker D., 2023. “Professor Stiglitz’s Contributions to Debates on Intellectual Property.” *Real-World Economics Review*, (105): 12–24, <https://www.paecon.net/PAEReview/issue105/whole105.pdf>.

Britchenko I., 2024. *Economic Security of the Corporate Sector*. Sofia, Professor Marin Drinov Publishing House of Bulgarian Academy of Sciences.

Harman C., 2010. *Zombie Capitalism. Global Crisis and the Relevance of Marx*. Chicago, Haymarket Books.

Hoshi T., 2006. Economics of the Living Dead. *The Japanese Economic Review*, Vol. 57, No. 1.

Howitt P., 2000. Endogenous Growth and Cross-Country Income Differences. *The American Economic Review*, Vol. 90, No. 4, http://www.fadep.org/documentosfadep_archivos/D-27 ENDOGENOUS GROWTH AND CROSS-COUNTRY INCOME DIFFERENCES.pdf.

LeLaulu L., 2009. Zombie Economics? *The Development Executive Group*, January 13, <http://www.devex.com/articles/zombie-economics>.

Krugman P. (2020). *Arguing with Zombies: Economics, Politics, and the Fight for a Better Future*. New York, W.W Norton & Co.

Nelson R. R., Winter S. G., 1982. *An Evolutionary Theory of Economic Change*. Cambridge, The Belknap Press of Harvard University Press.

Onaran Y., 2012. *Zombie Banks. How Broken Banks and Debtor Nations are Crippling the Global Economy*. Hoboken, John Wiley & Sons.

Papava V., 2002. Necroeconomics – the Theory of Post-Communist Transformation of an Economy. *International Journal of Social Economics*, Vol. 29, No. 9-10.

Papava V., 2005. *Necroeconomics: The Political Economy of Post-Communist Capitalism*. New York, iUniverse.

Papava V., 2016. *Technological Backwardness – Global Reality and Expected Challenges for the World's Economy*. GFSIS Expert Opinion, No. 70. Tbilisi, Georgian Foundation for Strategic and International Studies, <https://gfsis.org.ge/files/library/opinion-papers/70-expert-opinion-eng.pdf>.

Papava V., 2017. Retroeconomics – Moving from Dying to Brisk Economy. *Journal of Reviews on Global Economics*, No. 6, <https://www.lifescienceglobal.com/independent-journals/journal-of-reviews-on-global-economics/volume-6/85-abstract/jrge/2929-abstract-retroeconomics-moving-from-dying-to-brisk-economy>.

Papava V., 2022. “Moving from Hyper-Globalization.” *SSRN*, December 6, https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=4262340.

Papava V., 2024a. Globalization with Economic Security and Glocalization. *SSRN*, April 30, https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=4806388.

Papava V., 2024b. *From Retroeconomics to Sanctionomics: Essays on Unconventional Economics*. Bloomington, iUniverse.

Papava V., 2025. Retroeconomic Barriers in the Development of an Innovative Economy. *SSRN*, June 27, DOI: 10.2139/ssrn.5313814, https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=5313814.

Papava V., Bedianashvili G., 2024. Social and Economic Resilience in Conditions of Confrontational Globalization and Uncertainty. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*, Vol. 18, No. 3, <http://science.org.ge/bnas/vol-18-3.html>.

Polterovich V., Tonis A., 2010. *Innovation and Imitation at Various Stages of Development: A Model with Capital*. MPRA Paper No.

20244, January 26, https://mprapaper.ub.uni-muenchen.de/20244/2/MPRA_paper_20244.pdf.

Quiggin J., 2010. *Zombie Economics. How Dead Ideas Still Walk Among Us*. Princeton, Princeton University Press.

Sachs J. F., 2017. *Building the New American Economy. Smart, Fair, and Sustainable*. New York, Columbia University Press.

Segerstrom P. S., 1991. Innovation, Imitation, and Economic Growth. *Journal of Political Economy*, Vol. 99, No. 4.

Stiglitz J. E., 2016. Monopoly's New Era. *Project Syndicate*, May 13, <https://www.project-syndicate.org/commentary/high-monopoly-profits-persist-in-markets-by-joseph-e--stiglitz-2016-05?barrier=true>.

Stiglitz J. E., 2023. "Fixing Global Economic Governance." *Project Syndicate*, October 23, https://www.project-syndicate.org/commentary/global-financial-economic-architecture-needs-an-overhaul-by-joseph-e-stiglitz-2023-10?utm_source=Project+Syndicate+Newsletter&utm_campaign=b69308463f-covid_newsletter_10_25_2023&utm_medium=email&utm_term=0_73ba5b7d8-b69308463f-93567601&mc_cid=b69308463f&mc_eid=e9fb6cbcc0.

Балацкий Е. В., 2003. Экономический рост и технологические ловушки. *Общество и экономика*, № 11.

Балацкий Е. В., 2010. Роль оптимизма в инновационном развитии экономики. *Общество и экономика*, № 1.

Балацкий Е. В., 2012. Институциональные и технологические ловушки. *Журнал экономической теории*, № 2.

Голиченко О., 2012. Модели развития, основанного на диффузии технологий. *Вопросы экономики*, № 4.

Дементьев В. Е., 2006. Ловушка технологических заимствований и условия ее преодоления в двухсекторной модели экономики. *Экономика и математические методы*, Том 42, Вып. 4.

Молдован Д., 2009. Мировой экономический кризис и позитивное мышление. *Мир перемен*, № 4.

Папава В., 2001. Некроэкономика – феномен посткоммунистического переходного периода». *Общество и экономика*, № 5.

Папова В., 2017. О ретроэкономике. *Вопросы экономики*, № 10.

Портер М., 1993. *Международная конкуренция*. Москва, Международные отношения.

Эльянов А. Я., 2004. Глобализация и догоняющее развитие. *Мировая экономика и международные отношения*, № 1.

Vladimer Papava

ECONOMIC SECURITY OF FIRMS AND OVERCOMING THE “TECHNOLOGICAL TRAP”

Summary

This paper explores the nature of a firm’s economic security, the principal threats it faces, and the associated risks. It demonstrates that one of the most common economic threats is the “technological trap,” in which firms, despite the availability of innovative technologies, avoid risk and continue to rely outdated ones. The study analyzes the key conditions that lead firms to fall into the “technological trap,” and argues that prolonged entrapment contributes to the emergence of a retroeconomy. This phenomenon is global in scope, and affects not only developing countries, but also countries with developed economies. The paper identifies the conditions required to escape the “technological trap” and achieve a “technological leap.”

რამაზ აბესაძე

სასურსათო უსაფრთხოება და მისი სახელმწიფო რეგულირება საქართველოში

ანოტაცია. ნაშრომში გამოკვლეულია საქართველოში სასურსათო უსაფრთხოების მდგომარეობა, ასევე მისი სახელმწიფო რეგულირების მექანიზმი. საქართველოში სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენიდან (1991 წ.) 2014 წლამდე არ განხორციელებულა სისტემური და კომპლექსური ღონისძიებები ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების სისტემის უზრუნველსაყოფად. 2014 წლიდან